(-22)726
ბ-53



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის სიონი

# Тбилисский Сион

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურის ძეგლთა დაცვისა და
რესტავრაციის საქმეთა სამმართველო

ბიბლიოთეკა

## თბილისის სიონი

სიონი — თბილისის კათედრალური (საეპისკოპოსო) ტაძარია. პირველი ეკლესია ამ ადგილას, როგორც ჩანს, VI ს-ში აშენდა. მატიანეთა ცნობით, მის აგებაში, ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობაც. VII ს-ის ოციან წლებში, ქართლის ერისმთავრის ადარნასეს დროს, ტაძრის აგება უკვე დამთავრებული ყოფილა.

სიონის პირველ ეკლესიას დღემდის აღარ მოუწევია. საუკუნეთა განმავლობაში იგი მრავალჯერ დაუნგრევიათ დამპყრობლებს და არა ერთხელაა აღდგენილი და საფუძვლიანად გადაკეთებული, ასე რომ, დღეს შენობა მრავალი სხვადასხვადროინდელი ფენისაგან შედგება.

ძირითადად, იგი აგებული უნდა იყოს XI — XII საუკუნეებში, მაგრამ ზოგან, შესაძლებელია, უფრო ძველი ნაწილებიც იყო დარჩენილი. მეორე მხრივ, ეკლესიის შიგნით ჩანს გვიანდელ (XVII ს.) შეკეთებათა კვალიც (ისრული და მუზარადისებრი თაღები).

1657 წელს თბილისის მიტროპოლიტმა ელისე საგინაშვილმა სიონს სამხრეთის მხრიდან მიაშენა მცირე სამლოცველო.

ტაძრის გუმბათის ყელი და კედლების პერანგი (მოყვითალო ბოლნისის ტუფისა) 1710 წელს მიეკუთვნება და ვახტანგ VI-ის ბრძანებითაა გაკეთებული. ვახტანგი იმ დროს ქართლის გამგებლად იწოდებოდა. ჩრდილოეთის ფასადის წარწერაში (მაღლა, კეხქვეშ) მითითებულია განახლების თარიღი, და მოხსენებულია „ძმისწული სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე დიდად პატიოსნისა ლევანისა გამგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, განმაახლებელი გუმბათით ლორფინ-საცვრით მონასტრისა ამის“.

726(C922)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1795 წ., როცა ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, გაძარცულ და დაზიანებულ იქნა სიონის ტაძარიც.

სიონის ტაძარი XIX ს-ის დასაწყისში შეაკეთეს და განაახლეს.

1850 — 1860 წლებში ეკლესია მთლიანად მოხატა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და იცნობდა ქართულ ხელოვნებას. გაგარინმა აქა-იქ გამოიყენა ძველი მხატვრობის გადარჩენილი ნაწილები, მაგრამ მისი მოხატულობა, სტილის მხრივ, მაინც დიდად დაშორებულია ძველებურ ქართულ მხატვრობას.

იმავე ხანებს (1856 — 1860) მიეკუთვნება ეკლესიის აწინდელი კანკელიც.

გალავნის შიგნით, ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე სამრეკლო აგებულა 1425 წელს. მისი ზემო ნაწილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაინგრა. აწინდელი ზემო ნაწილი (სვეტებიანი) — ახალია.

ტაძრის დასავლეთით, ჭუჩის მეორე მხარეს მდებარე სამრეკლო აგებულია 1812 წელს. ეს რუსული კლასიციზმის სტილის ერთი პირველი შენობათაგანია თბილისში.

ავტორი ვ. ბერიძე რედაქტორი ბ. ლორთქიფანიძე

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
1959

უე 03335. ტირაჟი 5000. შეკვ. № 279. ფასი 75 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი.
მაოჯახიშვილის ქ., 5.

УПРАВЛЕНИЕ ПО ДЕЛАМ ОХРАНЫ И РЕСТАВРАЦИИ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ТБИЛИССКИЙ СИОНИ

Сиони — кафедральный храм Тбилиси. Первая церковь на этом месте была построена в VI в. По сведениям летописей, в построении храма активное участие принимало население города. В 20-х годах VII в., при эрисмтаваре (правителе) Адарнасе, постройка храма была завершена.

Первая сионская церковь не сохранилась до наших дней. В течение веков Сиони много раз подвергался разрушению со стороны иностранных завоевателей, он много раз восстанавливался и, потому, в теперешнем виде, его нельзя считать сооружением одной определенной эпохи.

В основном, нынешний храм выстроен, по-видимому, в XI — XII вв., но он, надо полагать, включает отдельные части более древней постройки. С другой стороны, внутри храма видны следы и позднейших (XVII в.) переделок (напр. стрельчатые и килевидные арки).

В 1657 г. Тбилисский митрополит Элисэ Сагинашвили пристроил с юга к храму небольшой притвор.

Барабан купола и вся облицовка стен (из желтоватого болнисского туфа) 1710 г., времен Вахтанга VI, носившего тогда титул Правителя Картли. Надпись под щипцом северного фасада содержит дату восстановления храма и упоминает «племянника славного царя Георгия и сына... Левана, правителя Картли царевича Вахтанга, восстановившего купол и кровлю его монастыря».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

В 1795 г., при разорении Тбилиси иранским шахом Ага Магомет-ханом, Сионский храм был разграблен и поврежден.

Его вновь восстановили в начале XIX в.

В 1850 — 1860 гг. церковь была расписана русским художником Григорием Гагариным, долго жившим в Грузии и знакомым с грузинским искусством. Гагарин использовал отдельные фрагменты древних фресок, но его роспись, по стилю, все же сильно отличается от древнегрузинских росписей.

Тогда же (в 1850 — 1860 гг.) был сооружен нынешний иконостас.

Колокольня с северной стороны Храма в ограде — древняя, построенная в 1425 г. Верхняя ее часть, звонница, разрушена во время нашествия Ага Магомет-хана в 1795 г. Нынешняя звонница — новая.

Колокольня с западной стороны храма, по другую сторону улицы построена в 1812 г. Это одно из первых зданий в стиле русского классицизма в Тбилиси.

Автор В. Беридзе. Редактор Б. Лордкипанидзе

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело». 1959

УЭ 03335. Тир. 5.000. Зак. № 279. Цена 75 к.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

7 5654

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К29,588
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა